თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7599098

ნომერი: AR11104365

თარიღი : 13.08.2025

გაცემის თარიღი : 20.08.2025

გაცნობის თარიღი : 20.08.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N23, კორპუსი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იონა ნიკოლაიშვილი პ/ნ 01617059466
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. N 3 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი, და გაცნობებთ: სამსახურის ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის წერილი- (ნომერი: 17-01251553934 / თარიღი: 04/06/2025წ) ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N7ა, N01.10.10.025.094.01.02.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ფართში, შესაბამისი სამშენებლო-სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე განხორციელებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების თაობაზე,(2025 წლის 03 ივნისს (ს.ნ. 404763724) მიმართ შედგენილ იქნა N003108 შემოწმების აქტი, რითაც დაიწყო სამშენებლო- სამართალდარღვევის საქმისწარმოება.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან უნებართვო მშენებლობის შემდგომი განვითარება დაუშვებელია, სამსახური ამ ეტაპზე ვერ იმსჯელებს აღნიშნული საქმის წარმოების შესაძლებლობასთან დაკავშირებით . იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება , საჭიროა წარმოდგენილი იქნას მითითება და ამ მითითების შესაბამისად გადახდილი ჯარიმის ქვითარი , ან დოკუმენტი სამართალდარღვევის არ არსებობასთან დაკავშირებით .

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.